ი.ჭავჭავაძის გამზირი 84
0162 თბილისი, საქართველო
+995 32 2 25 84 84
info@expertiza.gov.ge

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

№ 5003592626

19/06/2026

5003592626

შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები-ს წარმომდგენელს (მინდობილობით) ბატონ გელა კელაპტრიშვილს

(საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, თამარ მეფის გამზ., №15)

ბატონო გელა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2026 წლის 19 მაისის რეგისტრაციის N1004219026) საფუძველზე, გიგზავნით სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის N004259526 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

პატივისცემით,

ირაკლი ლიჩელი
ბიუროს უფროსის მოადგილე

5003592626

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 22.06.2026

(ხელმოწერა) ბ.ა

004259526

ექსპერტის დასკვნა № 004259526

გაფრთხილება

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

დანიშნავი:

ორგანიზაცია: შპს ჯიარ ლოგისტიკა და ტერმინალები

თანამდებობა: წარმომდგენელი (მინდობილობით)

მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, თამარ მეფის გამზ., №15

სახელი და გვარი: გელა კელაპტრიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ბაჩუკი ჩხარტიშვილი / კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური, რადიაციული და სახანძრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 8 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ დაგვიდგინოთ თვლიანი სატვირთველის BALKANCAR, ტექნიკური მდგომარეობა.

შემოსვლის თარიღი: 19/05/2026 წ

გასვლის თარიღი: 19/06/2026 წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი სატვირთველი „BALKANCAR"-ი, ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია.

ბაჩუკი ჩხარტიშვილი

გამოკვლევა

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილია თვლიანი სატვირთველი „BALKANCAR", რომლის ვიზუალური დათვალიერება მოხდა ქ. თბილისში. ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ სატვირთველის ძარას აღენიშნება ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად განვითარებული ცვეთის კვლები საღებავის აშრევების, განაკაწრების დეფორმაციების და ძლიერი კოროზიის სახით. სატვირთველს ასევე აღენიშნება ხანგრძლივად დგომის კვლები რასაც ადასტურებს ტექნიკის ძარაზე მოჭარბებული რაოდენობით მტვრის ფენა. გარდა ზემოაღნიშნულისა გამოსაკვლევ ტექნიკას დაზიანებული აქვს: უკანა საბურავები, სავარძელი, რიგი მაღალი წნევის მილები, ჰიდრავლიკური დგუშები (აღენიშნება ზეთის გამოჟონვის კვლები), მაშუქი ფარები, მუხრუჭების სისტემა, ელ. სადენები, ანთების ბატარეა და ა.შ. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი სატვირთველი ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივდივართ დასკვნამდე, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი სატვირთველი „BALKANCAR"-ი, ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია.

ბაჩუკი ჩხარტიშვილი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით გველესიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი სულაძე